

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის  
2005 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში არის რვა სამეცნიერო და ერთი არასამეცნიერო (სამეცნიერო ინფორმაციის) განყოფილება: ალგებრის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, სამეცნიერო ინფორმაციის. გარდა ამისა, ალგებრის განყოფილებაში არის მათემატიკური ლოგიკის სექტორი.

2005 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინსტიტუტში ირიცხება 81 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 40 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (3 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი) და 36 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. გარდა ამისა, ინსტიტუტში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 33 მეცნიერი თანამშრომელი.

ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2005 წლის გეგმის მიხედვით მუშავდებოდა 16 სამეცნიერო თემა. 2005 წელს დასრულდა მუშაობა ყველა თემაზე, მათ ნაცვლად წარმოდგენილია 9 ახალი თემა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით ინსტიტუტში 2005 წელს მუშავდებოდა 14 სამეცნიერო თემა. 2005 წელს დასრულდა მუშაობა ყველა თემაზე.

2005 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა აგრეთვე უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო თემები.

1. ძირითადი სამეცნიერო შედეგების მოკლე დახასიათება

1.1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2005 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები

მათემატიკური ანალიზი

ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისა და ნამრავლიანი გულებიანი პოტენციალებისათვის გამოკვლეულია ორწონიანი ამოცანა. დადგენილია ის ოპტიმალური პირობები წონათა წყვილებზე, რომლებიც განაპირობებენ ხსენებული ოპერატორების შემოსახვგრულობას ერთი წონიანი სივრციდან მეორეში [33,60,61].

ჰარდის გარდაქმნებისათვის დადგენილია ორწონიანი შეფასებები ცვლადმჩვენებლიან ლეხების სივრცეებში. დადგენილია შემოსახვგრულობისა და კომპაქტურობის ოპტიმალური პირობები [23].

არაერთგვაროვან სივრცეებზე განსახვგრული პოტენციალის ტიპის ოპერატორებისათვის განზოგადებულია სობოლევის თეორემა [59].

დამტკიცებულია ორმხრივი ერგოდული მაქსიმალური ფუნქციების ერთადერთობა [26].

არასინგულარული ნახევარნაკადებისთვის დადგენილია წონიანი ერგოდული მაქსიმალური ტოლობა [28].

მიღებულია რისი-ზიგმუნდის თეორემის განზოგადება ერგოდული ჰილბერტის გარდაქმნებისათვის [28].

მიღებულია ტრიგონომეტრიული პოლინომების წარმოებულების შესახებ ბერნშტეინის ცნობილი თეორემის ორწონიანი ანალოგი [135].

გამოკვლეულია წრფივი შეუღლების წყვეტილი ამოცანა ანალიზური ფუნქციებისათვის, როცა სასახვგრო ფუნქცია ლეხების სივრციდანაა ცვლადი ზრდადობის რიგით [156].

ამოხსნილია დირინლეს ამოცანა არასტანდარტული დასმით იმ აზრით, რომ სახვგროთი ფუნქციების წონიანი ლეხების სივრცე, საზოგადოდ, უფრო ვიწროა, ვიდრე ამონახსნის სახვგროთი ფუნქციისაკენ კრებადობის სივრცე [135].

სმირნოვის კლასის ჰარმონიული ფუნქციებისთვის გამოკვლეულია ზარემბას ამოცანა არეებში არაგლუვი სახვგროთ [151].

დიფერენციალური განტოლებები

ცალმხრივ დიფერენციალური და ფუნქციონალურ-დიფერენციალური უტოლობებისათვის დამუშავებულია არაწრფივ სასახვგრო ამოცანათა ამონახსნების აბრიორულ შეფასებათა ახალი მეთოდი, რის საფუძველზეც დადგენილია გარკვეული აზრით ოპტიმალური საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ა) პერიოდული ტიპის სასახვგრო ამოცანათა ამოხსნადობასა და ცალსახად ამოხსნა-

დობას მაღალი რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის [153]; ბ) ორწერტილოვან ამოცანათა ამოხსნადობასა და ცალსახად ამოხსნადობას მეოთხე რიგის არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის [57]; გ) ორწერტილოვან ამოცანათა ექსტრემალური ამონახსნების არსებობას მეორე რიგის სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის [54].

მესამე რიგის არაავტონომიური წრფივი დიფერენციალური და ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის ნაპოვნი პერიოდული სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები [96,168].

მიღებულია ოპტიმალური საკმარისი პირობები იმისა, რომ მაღალი რიგის კვაზიწრფივ ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებას გააჩნდეს ე. წ. A ან B თვისება [34,64,159].

ხარისხოვანი არაწრფივობის შემცველი ტალღის განტოლებისათვის შესწავლილია დარბუს მეორე ამოცანის გლობალურად ამოხსნადობის საკითხი კონუსურ არეში [147].

ზოგიერთი მეორე რიგის არაწრფივი ჰიპერბოლური განტოლებისათვის შესწავლილია დარბუს პირველი და მეორე ამოცანის მრავალგანზომილებიანი ვარიანტების გლობალური ამონახსნების არარსებობის საკითხი კონუსურ არეში [147,149].

მეორე რიგის არამკაცრად ჰიპერბოლური კვაზიწრფივი განტოლებებისათვის დადგენილია საშუალო მნიშვნელობის ასგეირსონისეული თვისების არაწრფივი ვარიანტები. ამ თვისების და ზოგადი ინტეგრალების წარმოდგენის საფუძველზე გამოკვლეულია ისეთი მახასიათებელი ამოცანები, როცა სასაზღვრო პირობები უცნობ კონტურებზეა მოცემული და დადგენილია ამ ამოცანების ლოკალური ამოხსნადობის საკმარისი პირობები [136].

ორ და სამგანზომილებიან სივრცეში განხილულია მაღალი რიგის წრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა კლასები. რიმანის ფუნქციისათვის დადგენილი თვისებების საფუძველზე მიღებულია გურსას ამოცანის ამონახსნის ახალი ინტეგრალური წარმოდგენა, რომელიც საფუძველად დაედო სხვადასხვა ამოცანის, კერძოდ, შერეული და არალოკალური ამოცანების გამოკვლევას [144].

აგებულია სპეციალური სახის პოლინომები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია გაუმჯობესდეს (სტანდარტულ სქემებთან შედარებით) გამოთვლების წარმართვა რიჩარდსონის ტიპის საიტერაციო სქემებში [108].

#### მათემატიკური ფიზიკა და დრეკადობის მათემატიკური თეორია

მითითებულია პირობა, როდესაც ნამდვილ ღერძზე განსაზღვრული მატრიცული ფუნქცია უშვებს კლასიკურ მარჯვენა და მარცხენა ფაქტორიზაციას. ეს საშუალებას იძლევა დამტკიცდეს მატრიცული ვინერ-ჰოპფის პლუს ჰანკელის ოპერატორების ზოგადი შებრუნებულის არსებობა და იძლევა ზუსტი ინფორმაციას ფაქტორიზაციის მატრიცების ყოფაქცევაზე უსასრულობაში და შესაბამისი განტოლებების ამონახსნების ყოფაქცევაზე ნულის მიდამოში [112].

შესწავლილია მარცხენა და მარჯვენა პარამეტრიქსის არსებობის საკითხი ერთგვაროვან ლის ჯგუფებზე განსაზღვრული ფსევდოდიფერენციალურ ოპერატორთა ფართო კლასისათვის. დამტკიცდა, რომ ოპერატორთა ამ კლასისათვის ე. წ. როკლენდის L-პირობა (R-პირობა) არის არა მარტო საკმარისი, არამედ აუცილებელი პირობაც მარცხენა (მარჯვენა) პარამეტრიქსის არსებობისთვის [119].

ცხადად არის ამოხსნილი ბრტყელი ელექტრომაგნიტური ტალღების ურთიერთქმედების ამოცანები უსასრულო მრავალფენიან ბიანიზოტროპულ სტრუქტურასთან. შესწავლილია შემთხვევა, როდესაც ტალღის სიხშირე ემთხვევა საკუთრივ სიხშირეს (რეზონანსი) [107].

განხილულია უცნობი თანაბრად მტკიცე სფერული შესუსტებული მრავალკუთხედის ფორმის დრეკადი ფირფიტა. მრავალკუთხედს აქვს საერთო სიმეტრიის ღერძი, ფირფიტა გარე საზღვრის გასწვრივ მთლიანად ეხება აბსოლუტურად გლუვ მყარ სხეულს, სფერულის საზღვარზე მოდებულია თანაბარი წნევა. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის აპარატის გამოყენებით ამოცანის შესწავლა მიყვანილია რიმან-ჰილბერტის ამოცანაზე წრისათვის. მოძებნილია უცნობი საზღვარი და შესწავლილია დაძაბული მდგომარეობა [94].

განხილულია ნუთი სფერული შესუსტებული კვადრატის, ცენტრალური სფერულის სიმეტრიის ღერძებია კვადრატის დიაგონალები, ხოლო ოთხი სფერულის სიმეტრიის ღერძებია კვადრატის დიაგონალი. ფირფიტის გარე საზღვარზე მოდებულია მყარი სწორფუძიანი ნისტი გლუვი შტამპები შუა წერტილებზე მოქმედი ნორმალური შეყურსული ძალით. მოძებნილია უცნობი თანაბრადმტკიცე კონტურები [95].

დაზუსტებული განტოლებების გამოყენებით გამოკვლეულია ცილინდრულთან მახლობელი ბრუნვითი გარსების მდგრადობა. გარსებზე მოქმედებს ნორმალური წნევა და საზღვარზე მოდებულია მერიდიანული ძალები. მიღებულია ფორმულები კრიტიკული ძალებისათვის, რომლის შემთხვევაში ხდება წონასწორობის დაკარგვა [160].

განხილულია ფილტრაციის თეორიის სივრცული ღერძსიმეტრიული ნაწილობრივ უცნობსაზღვრია-ნი სტაციონარული შერეული ამოცანების ამონახსნთა მოძებნის ზოგადი მეთოდი. ფოროვან გარემოში არაკუმშვადი სითხის – სივრცული ღერძსიმეტრიანი სტაციონარული მოძრაობის არე შემოსაზღვრულია საზღვრის უცნობი ნაწილით, დეპრესიის მრუდით და საზღვრის ცნობილი უბნით. სითხის მოძრაობა ფოროვან არეში ემორჩილება დარსის კანონს, ფოროვანი არე არადეფორმადი, იზოტროპული და ერთგვაროვანია. აგებულია ფილტრაციის თეორიის ნაწილობრივ უცნობ საზღვრის სივრცული ღერძსიმეტრიული შერეული ამოცანის ამოხსნის ალგორითმი. ამოცანის ამოხსნის აგება დაიყვანება ინტეგრალური და ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების ამოხსნის აგებამდე, ისინი კი თავის მხრივ მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით ამოხსნებიან. კვლევისას გამოყენებულია ანალიზურ ფუნქციათა თეორია კლასიკური გაგებით, განზოგადებული ანალიზური ფუნქციები და კვაზი-კონფორმული გარდასახვები [179].

შესწავლილია ტრანსვერსალური წნევის გრადიენტის გავლენა ნეიტრალურ მრუდებზე, რომლებიც გამოყოფენ ორ მბრუნავ ცილინდრს შორის მოთავსებული სითხის დინების მდგრადობის არეს არამდგრადი არისაგან. დადგენილია, რომ დინების მდგრადობის დაკარგვის შედეგად, შესაბამისი პარამეტრების მიხედვით, შესაძლებელია წარმოიშვას როგორც ღერძსიმეტრიული, ასე არასიმეტრიული პერიოდული დინებები [173].

### ალგებრა და ტობოლოგია

გაგრძელდა [39]-ში აგებული ჯგუფების ეკვივარიანტული (კო)ჰომოლოგიის თეორიის კვლევა;

განმარტებულია ლის ალგებრების მეორე რიგის არააბელური კოჰომოლოგია კოეფიციენტებით ჯვარედინ მოდულებში და მიღებულია მისი აღწერა ლის ალგებრების გაფართოებებით; ვარდა ამისა, გენის არააბელური კოჰომოლოგიის შვიდწევრა ზუსტი მიმდევრობა გაგრძელებულია ცნაწევრა ზუსტ მიმდევრობამდე [138].

კვადრატული ასახვებისა და მეორე კლასის ნილპოტენტური ჯგუფების გამოყენებით მოხდა არაკომუტაციური ჯგუფებისაგან შედგენილი ობიექტების ტენზორული აღრიცხვის დაფუძნება; აიგო ალგებრული მოდელი ისეთი რგოლური სპექტრების, რომელთა ჰომოტოპიის ჯგუფები ტრივიალურია ყველაგან ვარდა 0 და 1 განზომილებებში [75].

შესწავლილია ასოციურობის ბირთვები ნახევრად აბელურ კატეგორიებში და მათი კავშირი კომუტატორთა თეორიასთან, აბელური ბირთვების მქონე გაფართოებებთან, რადიკალთა თეორიასთან და ობიექტთა შინაგანი მოქმედების წარმოდგენადობის საკითხთან [11,12,139].

შესწავლილია არაკომუტაციური ლაიბნიც-პუასონის ალგებრების კატეგორია და დადგენილია თავისუფალი ობიექტები ამ კატეგორიაში; აგებულია ამ ალგებრების კოჰომოლოგიები და გამოკვლეულია მათი ზოგიერთი თვისება [109].

დადგენილია ბირთვები იმისათვის, რომ მარჯვენა შეუღლების მქონე ფუნქტორი იყოს კომონადური [165,166].

გაგრძელდა მუშაობა N-კატეგორიებში უნივერსალურ კონსტრუქციებზე [82].

აქსიომატურად დახასიათებულია ინტუიციონისტური ლოგიკის უმცირესი მოდალური სატელიტი და დადგენილია მისი ადეკვატური ალგებრული და ტობოლოგიური მოდელები [7].

შესწავლილია გოდელის დამტკიცებადობის პრედიკატის სწავლასაგან მოდალური რეინკარნაციები [თეზ. 6].

დადგენილია ნამდვილ რიცხვთა ღერძის მოდალური ლოგიკა წერტილობრივად წყვეტილი და თითქმის უწყვეტი ფუნქციების ტერმინებში [თეზ. 7].

განზოგადებულია ადრინდელი შედეგი ალგებრული თეორიების კოჰომოლოგიების Ext ფუნქტორებზე წარმოდგენის შესახებ [142].

აღწერილია მეორე კლასის ნილპოტენტურ ჯგუფებს შორის კვადრატულ ასახვათა კლასი ჩაკეტილი კომპოზიციის მიმართ და შესაბამისი კატეგორია მიღებულია წრფივი გაფართოებების საშუალებით [143].

მიღებულია რიგერ-ნიშიმურას მქსრის მიერ წარმოქმნილი მრავალსახეობის ყველა ქვემრავალსახეობათა სრული აღწერა [6]. კერძოდ, დახასიათდა სასრულად წარმოქმნილი ალგებრები, ლოკალურად სასრული ქვემრავალსახეობები და მოხერხდა იანკოვ-დე იონგის ფორმულების საშუალებით სრული აქსიომატიზაცია, რამაც შედეგად გამოიღო გერციუს თეორემის გამარტივებული დამტკიცება [102].

დადგენილია ტრანზიტული მოდალური ლოგიკების ორგანზომილებიანი დეკარტული ნამრავლის ამოუხსნადობისა და რეკურსიული გადათვლადობის საკითხები [32, 127].

შესწავლილია ტოპოლოგიურ სივრცეთა კლასის მოდელური განსაზღვრებადობის საკითხი. დადგენილია შესაბამისი კრიტერიუმები. ასევე დახასიათებულია სუბმაქსიმალური და ნოდეკ სივრცეების ქვეკლასების მოდელური ლოგიკები ჩაკეტვისა და ზღვრის ოპერატორების ტერმინებში [7].

აგებულია წინააღმდეგობის ფუნქტორი მთავარი ფიბრაციებისათვის [98].

გრადუირებული მოდელის რეზოლვენტის პერტურბაციით აგებულია დიფერენციალური მოდელის რეზოლვენტა [42].

სასრული, ცალადბმული CW კომპლექსების მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიებისთვის კოეფიციენტებით სასრულ რგოლებში დადგენილია ბეტის რიცხვების მიმდევრობის შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა [172].

შესწავლილია წრფივი შეუღლების ამოცანა მარყუჟთა სივრცეებში, განვითარებულია ფრედჰოლმის თეორია და დამტკიცებულია ამ ამოცანის ამოხსნადობა მარყუჟთა სივრცეების ფართო კლასისათვის [50,51,150]. გამომუშავებულია ე. წ. ჰოლომორფული ბლითების კოში-რიმანის მრავალწილობებში ახალი ზოგადი კონსტრუქცია [49,52]. მიღებულია ეილერის მახასიათებლის შეფასებები კვადრიკების თანაკვეთებისათვის [85,86].

დამტკიცებულია, რომ მარტივი განსაკუთრებულობები ახალიზურად იზომორფულები არიან მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი დერივაციების ლის ალგებრები იზომორფულია [24].

წრფივი დინამიური სისტემისათვის აგებულია კანონიკური „მარცხენა“ და „მარჯვენა“ მოდელები მდგომარეობათა სივრცეში. ნაჩვენებია, რომ ეს მოდელები ქმნიან ზუსტ წყვილს [162].

ტრანსფერის გამოყენებით გამოთვლილია მორაგას K-თეორია ზოგიერთი კლასიკური ჯგუფისთვის [90,91,93].

აგებულია წინააღმდეგობის ფუნქტორი მურ-პოსტნიკოვის კოშკების ტერმინებში [101].

ნაჩვენებია პარაკომპაქტური მესერის აციკლურობა კოეფიციენტებით თხელ კონებში [174].

#### ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

განხილულია სტოქასტური ვოლატილობის სხვადასხვა მოდელი და დამუშავებულია საშუალო კვადრატული აზრით ოპტიმალური რობასტული ჰეჯის აგების მეთოდიკა [175].

განხილულია დარღვევის ამოცანა, სადაც შეცვლის წერტილი, უწყვეტი მარტინგალებით წარმოქმნილი, ორი ალბათური ზომის გადაბმის მომენტს წარმოადგენს. ამოცანის ფასის პროცესისთვის გამოყვანილია არეკლილი შექცეული სტოქასტური დიფერენციალური განტოლება და ნაჩვენებია, რომ ვინერის პროცესის დარღვევის ამოცანაში ამ განტოლების ამოხსნა პარაბოლური დიფერენციალური ოპერატორისთვის თავისუფალსაზღვრიანი ამოცანის ამოხსნის ექვივალენტურია [45].

გაუსის სიმკვრივეთა ერთი ოჯახისათვის შედარებულია წყვილებს შორის ინტეგრალური მანძილის და მისი კრაფტის ზედა საზღვრის ყოფაქცევა [69,80]. დადგენილია ვეიერშტრასის ფუნქციის უწყვეტობის მოდელის ერთი ალბათური შეფასება [129]. პირობით დამოუკიდებელ შემთხვევით გექტორთა ჯამის განაწილებისათვის დაზუსტებულია ნორმალური აპროქსიმაციის სიჩქარის შეფასება [161].

მიღებულია შედეგი არაუარყოფითი სემიმარტინგალის ლოკალური დროის გაქრობის შესახებ [78]. ამ შედეგზე დაყრდნობით ერთგანზომილებიან ზოგად დიფუზიურ მოდელში მიღებულია ამერიკული ფუთ ოპციონის ფასის ფუნქციის სახე, როგორც ევროპული ფუთ ოფციონისა და ადრეული აღსრულების პრემიის ჯამი [3].

#### ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა; ველის კვანტური თეორია; კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა

$AdS_{N+1}$  სივრცე-დროში მასიური უსპინო ნაწილაკის ტრაექტორიების სიმრავლე აღწერილია  $SO(2,1)$  იზომეტრიის ჯგუფთან დაკავშირებული მოძრაობის ინტეგრალების მეშვეობით. მოძრაობის ინტეგრალების სივრცე ცალცახად ასახულია  $N$  განზომილებიანი ოსცილატორის ფაზურ სივრცეზე. სისტემის კანონიკურად დაკვანტვის შედეგად, სიმეტრიის გენერატორების გამოსახულება დეფორმირდება ისე, რომ  $SO(2,N)$  კომუტაციური თანაფარდობები ინახება. ასე, რომ ეს დაკვანტვა ცხადი სახით გვაძლევს  $SO(2,N)$  ნულოვანი სპინის და დადებითი ენერჯის მქონე უნიტარული დაუყვანადი წარმოდგენის ახალ რეალიზაციას [18,19,116].

ნაპოვნია სიმეტრიის ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ნაკადის ინვოლუციურობის კრიტერიუმი. ორბიტების მეთოდი გამოყენებულია ინტეგრებად მოდელებში: ბუსინესკის მოდიფიცირებულ სისტემაში და ბრუე-კაუპის იერარქიაში. ნაპოვნია ბუსინესკის მოდიფიცირებულ სისტემის საინტერესო განზოგადება. ნაჩვენებია, რომ ამ განზოგადობული იერარქიის შენახვადი სიდიდეები ქმნიან არანოტერისეული სიმეტრიის ჯგუფის ინვოლუციურ ორბიტას და რომ ამ მოდელს გააჩნია ბიჰამილტონური სტრუქტურა [15-17].

ეილერის განზოგადოებული კუთხეებით დაპარამეტრიზებული და ბინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ  $SU(3)$  ჯგუფურ მრავალნაირობაზე რიმანის გეოდეზიური მოძრაობის რედუქციის შედეგად მიღებულია  $T^*SU(3)/SU(2)$  ჰამილტონური სისტემა. ნაჩვენებია, რომ  $SU(3)/SU(2) = S^5$  ორბიტების სივრცეზე რედუცირებული ჰამილტონური ნაკადით აგებული მეტრიკა არ არის  $S^5$  სფეროში ჩადებული  $S^5$  სფეროს რიმანის სტანდარტული მეტრიკის ექვივალენტური, გეოდეზიურადაც კი [131].

რიცხვითი და ანალიზური მეთოდების გამოყენებით მიღებულია ე. წ. შებრუნებული ამოცანის ამოხსნა: ანუ მოცემული წირისათვის გრასმანის მრავალნაირობაზე (და უფრო ზოგადად – ერთგვაროვან სივრცეზე) გამოთვლილია მისი მონოდრომი და პირიქით, მოცემული უნიტარული გარდაქმნისათვის მოძებნილია ისეთი წირი, რომლის მონოდრომიც ამ გარდაქმნას იძლევა. გამოკვლეულია მონოდრომიის კავშირი ოპტიმიზაციის ამოცანასთან გრასმანის მრავალნაირობაზე კანონიკური ფიბრაციისათვის [133,134].

ჩამოყალიბებულია განზოგადებული პარტონული განაწილებების აღმწერი ფორმალიზმი, რომელშიც ფუნდამენტური თვისებები (როგორც ჯამთა წესები, პოლინომიალობა) ავტომატურად არის დაკმაყოფილებული. მოხერხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისების, პოზიტიურობის გათვალისწინება, რომელმაც ცალსახად მიგვითითა იმაზე, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ზემოაღნიშნული ფორმალიზმი. შედეგად მიღებული პარტონული განაწილებები მოგვცემენ ნუკლონის ფორმის უფრო მკაცრ აღწერას [8,9,104].

შესწავლილია რენორმ-ინვარიანტული მუხტის (ეფექტური ბმის მუდმივის) თვისებები კვანტურ ქრომდინამიკაში შეშფოთების თეორიის მაღალ რიგებში. გამოკვლევა გაკეთდა კვარკების არომატების რიცხვის ყველა მნიშვნელობისათვის თეორიის ასიმპტოტური თავისუფლების მთელ არეში. დეტალურად იქნა შესწავლილი ეფექტური ბმის მუდმივის ანალიზური თვისებები იმპულსის კვადრატის კომპლექსურ სიბრტყეზე როგორც კონფაინმენტურ (არაპერტურბატიული) ფაზაში, ისე კულონურ ანუ კონფორმულ ფაზაში. არომატების რიცხვის კრიტიკული მნიშვნელობა, რომელზედაც ხდება კონფაინმენტური ფაზიდან კონფორმულ ფაზაში გადასვლა, არაპერტურბატიული შეფასების თანახმად არის  $N_{\{c\}} = 9.75$ . მიღებულია ახალი შედეგი კონფაინმენტურ ფაზაში: ნაჩვენებია, რომ მაღალ რიგებში გარდა რეალური ლანდაუს სინგულარობისა, ინვარიანტულ მუხტს დამატებით აქვს კომპლექსური სინგულარობები, რომლებიც ასევე არღვევენ ჩელენ-ლეჰმანის ანალიზურობას და მიგვანიშნებენ არაპერტურბატიული შესწორებების აუცილებლობაზე დაბალი ენერგიების არეში. გამოკვლეულ იქნა ინვარიანტული მუხტისთვის ახალი მწკრივითი ამონახსნის თვისებები თეორიის არსებობის ორივე ფაზაში. ინვარიანტული მუხტი მაღალ რიგებში გაშლილი იყო მწკრივად მე-2 რიგის მუხტის ხარისხებად. ეს უკანასკნელი ამოხსნილი იყო ზუსტად ლამბერტის ფუნქციის ტერმინებში. ახალ გამოკვლევაში ამ მწკრივის კრებადობის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა რამოდენიმე საინტერესო დასკვნა კვანტური ქრომდინამიკის ფაზური სტრუქტურის შესახებ. ანალიზურად იქნა გამოთვლილი მწკრივის კრებადობის რადიუსი შეშფოთების თეორიის მე-3 და მე-4 რიგებში არომატების რიცხვის ყველა მნიშვნელობისათვის [164].

გამოთვლილია როტორის ტიპის პოლარიზაციის კუთხური სიმძლავრის (power) სპექტრი, წარმოქმნილი სუსტი სტოქასტური რელიქტური მაგნიტური ველით მცირე ფარადეის მობრუნების შემთხვევაში და ნაჩვენებია, რომ სპექტრის პიკი მდებარეობს კუთხური არე ვუთების სკალაზე. ნაჩვენებია, რომ ფარადეის მობრუნების სიგნალი მდებარეობს ბევრად უფრო მცირე კუთხურ სკალაზე, ვიდრე სხვა აღნიშნული წყარო და მისი ამპლიტუდა შედარებადია გრავიტაციული ლინზირებიდან მიღებული სიგნალის ამპლიტუდასთან [65].

გამოკვლეულია მეორადი დამუხტული ადრონების მრავლობითობითი განაწილებები ბირთვ-ბირთვულ ურთიერთქმედებებში მაღალ ენერგიებზე. ნაჩვენებია, რომ კლასტერების საშუალო რიცხვი აღწევს პლატოს, ნაწილაკთა განაწილება კლასტერებს შიგნით არ არის დამოკიდებული ურთიერთქმედ ობიექტთა გვარობაზე და უნივერსალურ ხასიათს ატარებს [130].

## 1.2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით შესრულებული სამუშაოები

პროექტი № 1.1.04 – უწყვეტ ტანთა მექანიკის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი და საკონტაქტო ამოცანები, ფაქტორიზაციის ამოცანები და მათი გამოყენება

განხილულია დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანები ცვლადი სინისტის დრეკადი ჩართვების მქონე ფირფიტების საკუთრივი რნეგების შესახებ. ანალიზურ ფუნქციათა თეორიისა და ფურიეს გარდაქმნების გამოყენებით ამოცანები დაიყვანებინ ინტეგრირ-დიფერენციალურ განტოლებებზე, რომლებიც იხსნებიან ცხადი სახით ან მიახლოებით შესაბამისად ნახევრადუსასრულო ან სასრული დრეკადი ჩართვების შემთხვევაში.

შესწავლილია სწორხაზოვანი ჭრილების პირველი სასაზღვრო ამოცანა უსასრულო სიბრტყისათვის უწყვეტად არაერთგვაროვნების ერთ კერძო შემთხვევაში. კოშის ტიპის ინტეგრალისა და ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნის გამოყენებით ამოცანა მიყვანილია წრფივი შეუღლების ამოცანაზე, რომლის ამონახსნიც ცხადი სახითაა წარმოდგენილი.

შესწავლილია უცნობსაზღვრიანი ხვრელით შესუსტებული უსასრულო ორთოტროპული ფირფიტის ღუნვის ამოცანა, როდესაც უცნობი საზღვარი თავისუფალია და მასზე ტანგენციალური ნორმალური მომენტი მუდმივ მნიშვნელობას ღებულობს. კომპლექსური ცვლადის ფუნქციითა თეორიისა და კონფორმულად გადასახვის მეთოდების გამოყენებით ამოცანა მიყვანილია გადაადგილებიან სინგულარულ-ინტეგრალურ განტოლებებზე.

პროექტი № 1.2.04 – სივრცეებისა და ფიბრაციების ახალი ალგებრული მოდელები და მათი გამოყენებანი ჰომოტოპიურ ამოცანებში

პერმუტოდრის სათანადო კომბინატორიკის საშუალებით აგებულია ობიექტი, რომელიც განსაზღვრავს  $A(\infty)$ -ბიალგებრის სტრუქტურულ თანაფარდობებს. მოცემულია აგრეთვე ამ ობიექტის გეომეტრიული რეალიზაცია გარკვეული აციკლური მრავალწახნაგების მიმდევრობის სახით და მათი პერმუტოდრებთან ზუსტი კავშირის აღწერა [172].

პროექტი № 1.3/9.04 – სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების ამონახსნთა თვისებები და ასიმპტოტიკა უწყვეტი გარემოს ზოგიერთი მოდელებისათვის

პოტენციალთა და ზედაპირზე განსაზღვრული ფსევდოდოფერენციალური განტოლებების მეთოდებით გამოკვლეულია ელექტროდრეკადობის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები იმ შემთხვევაში, როდესაც კონტაქტში მყოფი სხეულებიდან ერთ-ერთი არის ელექტროდრეკადი (პიეზოელექტრული) სხეული, ხოლო მეორე - მცირე ელექტრული წინაღობის მქონე დრეკადი სხეული. მიღებულია ბესელის პოტენციალთა სივრცეებში ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. დადგენილია ამონახსნის ასიმპტოტიკა საკონტაქტო ზედაპირის საზღვრისა და სასაზღვრო პირობების ცვლილების წირის მახლობლობაში. დრეკადი და პიეზოელექტრული მასალების იზოტროპიის ზოგიერთი კლასისთვის (ტრანსვერსალური და კუბური იზოტროპია) ცხადაა გამოთვლილი ასიმპტოტიკის პირველი წევრის ხარისხის მაჩვენებელი დრეკადი, პიეზოელექტრული და დიელექტრიკული მუდმივების სწავლადსა მნიშვნელობებისთვის [105].

სინგულარულ მრავალსახეობებზე ფსევდოდოფერენციალურ ოპერატორთა აღრიცხვის გამოყენებით შესწავლილია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები წიბური განსაკუთრებულობის მქონე არეებისათვის. მიღებულია ფრედჰოლმურობის კრიტერიუმი და გამოკვლეულია ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა წიბური განსაკუთრებულობის მქონე საკონტაქტო საზღვრის მახლობლობაში [43,44].

გარიაციული უტოლობების მეთოდით გამოკვლეულია დრეკადობის მომენტური თეორიის შიდა და გარე სასაზღვრო ამოცანები ხახუნის ვათვალისწინებით. დამტკიცებულია ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა [128].

ეკვლიდურ სივრცეში ჩადგმულ ჰიპერზედაპირებზე კოვანზომილებით 1 შესწავლილია დიფერენციალური ოპერატორები (მათ შორის ლაპლასის, ნავიე-სტოქსის, ბელტრამის). დადგენილია, თუ როდის შეიძლება მათი და მათთან დაკავშირებული სასაზღვრო ამოცანები გამოსახულ იქნას გლობალურად,  $\square$  -ში შემოტანილი კოორდინატების საშუალებით. ამან გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი გახადა როგორც ოპერატორის, ასევე სასაზღვრო ამოცანის გამარტივებული გამოსახვა [118].

პროექტი № 1.4.04 – არაწრფივი დინამიკისა და არატრივიალური ძირითადი მდგომარეობის პრობლემები ველის კვანტურ თეორიაში

გამოკვლეულია ძირითადი მდგომარეობის სტრუქტურა ჰოლის ორფენიან სისტემაში შევსების რიცხვის  $\nu = 2$  მნიშვნელობისათვის. ანალიზური გამოთვლების საფუძველზე აგებულია აღნიშნული სისტემის ფაზური დიაგრამა ზეემანის, ტუნელური და ე. წ. bias ტიპის ურთიერთქმედებათა არსებობისას. ნაჩვენებია, თუ როგორ ხორციელდება ფაზური გადასვლები აღნიშნულ ურთიერთქმედებათა ინტენსივობის ცვლილებისას. განვითარებულია სკირმიონების მიკროსკოპული თეორია ჰოლის ერთფენიან ფერომაგნიტურ სისტემებში. ნაჩვენებია, რომ სკირმიონული კონფიგურაციები წარმოადგენენ ჩვეულებრივი ხვრელური კონფიგურაციის  $W$ -გარდაქმნას. რიცხვითი მეთოდების საშუალებით გამოთვლილია სკირმიონული აგზნებების ენერგია, რაც კარგ თანხვედრას იძლევა ექსპერიმენტულ მონაცემებთან [29-31].

გამოკვლეულია ფერმიონების და ბოზონების (სკალარული და ფსევდოსკალარული ველების, აგრეთვე  $SU(2)$  ჯგუფის მიმართ სიმეტრიული სკალარული ველების) ურთიერთქმედების კვანტური თეო-

რია. შემუშავებულია ძლიერი ბმის მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარდაქმნებს, რომელთა მეშვეობით სიმეტრიის ჯგუფის პარამეტრები განხილვება როგორც დინამიური ცვლადები და შესაბამისად ფაზური სივრცე ფართოვდება. განხილულია ინვარიანტობა ევკლიდეს სამგანზომილებიანი სივრცის მოძრაობათა ჯგუფის მიმართ, ასევე  $SU(2)$  ჯგუფის მიმართ. შეშფოთების თეორიის ძირითადი მიანლოგება ემთხვევა ველების კლასიკურ მდგომარეობას, ხოლო მაღალი რიგის შესწორებები აღწერს სისტემის ადგენებულ მდგომარეობებს, რომელთა ენერგიაა  $E=j(j+1)$ . აქ  $j$  ნახევარმთელი რიცხვია და აღწერს სპინს სკალარული და ფსევდოსკალარული ველების შემთხვევაში, ხოლო  $SU(2)$  სიმეტრიის შემთხვევაში სისტემის იზოტოპურ სპინსაც და განსაზღვრავს მუნტს. აღსანიშნავია, რომ გამოკვლეულ იქნა მოდელები სასრული ენერგიის მქონე მდგრადი კლასიკური კონფიგურაციებით.

პროექტი № 1.5.04 – ჰომოლოგიური ალგებრის და ალგებრული  $K$ -თეორიის ზოგიერთი საკითხი

მიღებულია ეკვივარიანტული ჰომოლოგიის გამოთვლები სასრული ციკლური ჯგუფებისათვის. მოცემულია კოჰომოლოგიური აღწერა ჯგუფების გაფართოებებისა აბელის ჯგუფების ნახევრადმესერების საშუალებით.

აიგო ადიციური  $C^*$ -კატეგორია, რომლის ალგებრული და ტოპოლოგიური  $K$ -თეორიები დაკავშირებულია ფრედჰოლმის მოდელების  $K$ -თეორიასთან და ბივარიანტულ  $K$ -თეორიასთან.

პროექტი № 1.6.04 – სასაზღვრო ამოცანები უსასრულო შუალედში და მათი გამოყენება არაავტონომიურ დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში

მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის განხილულია ამოცანები ნახევარდერმსა და მთელ დერმზე შემოსაზღვრული ამონახსნების არსებობის შესახებ. დამტკიცებულია, რომ თუ განსახილველი განტოლებების მარჯვენა მხარეები აკმაყოფილებენ ბერნშტეინის განზოგადოებულ პირობებს, მაშინ აღნიშნულ ამოცანებს გააჩნიათ მინიმალური და მაქსიმალური ამონახსნები [169].

მაღალი რიგის ძლიერად არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის დამუშავებულია არაწრფივ სასაზღვრო ამოცანათა კვლევის ახალი მეთოდი, რის საფუძველზეც დადგენილია არაგაუმჯობესებადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ა) პერიოდული სასაზღვრო ამოცანების ამონხსნადობასა და ცალსახად ამონხსნადობას; ბ) უსასრულობაში ქრობად ე. წ. წესიერ ამონახსნთა მრავალბარამეტრიანი ოჯახის არსებობას [152].

პროექტი № 1.7.04 – მრავალგანზომილებიანი ფურიეს ანალიზი, ბანახის ფუნქციური სივრცეები ცვალებადი მაჩვენებლებით და სასაზღვრო ამოცანები

დადგენილია, რომ გაწრფევად წირზე განსაზღვრული კოშის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი შემოსაზღვრულია ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა საინტეგრირებელი წირი კარლესონისაა [58,74,156].

მიღებულია იმ ხარისხოვანი ტიპის წონების სრული აღწერა, რომელთა შესაბამის ლებეგის წონიანი სივრცეებში ცვალებადი მაჩვენებლებით კოშის სინგულარული ინტეგრალი შემოსაზღვრულია [156].

სმირნოვის კლასის ჰარმონიული ფუნქციებისათვის გამოკვლეულია დახრილწარმოებულიანი სასაზღვრო ამოცანის ამონხსნადობის პრობლემა, როცა სასაზღვრო წირი უბან-უბან გლუვია [76].

დადგენილია კვატერნიული არგუმენტის კვატერნიონული ფუნქციის  $C^2$ -დიფერენცირებადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა [22,120,121].

გამოკვლეულია ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების იტერირებული საშუალოებით შეჯამებადობის საკითხები, როცა შეჯამებადობის რიგი ცვლადია. აღმოჩენილია, რომ უწყვეტი ფუნქციის ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობის აღნიშნული საშუალოები საზოგადოდ აღარ იკრიბებიან გამოსავალი ფუნქციისაკენ. ანალიზური ფაქტი დადგენილია ნორმით შეჯამებადობის ლებეგის სივრცეში, როცა სივრცის მაჩვენებელი ერთის ტოლია [81].

სმირნოვის კლასის ჰარმონიული ფუნქციებისათვის გამოკვლეულია შერეული ამოცანა არეებში, უბან-უბან ლიაპუნოვის საზღვრით. დადგენილია საზღვრის გეომეტრიის გავლენის სურათი ამოცანის ამონხსნადობის პირობებზე [151].

პროექტი № 1.8.04 – ლოკალური და არალოკალური ამოცანები ჰიპერბოლური განტოლებებისა და სისტემებისათვის

მეორე რიგის ჰიპერბოლურ განტოლებათა და სისტემათა ერთი კლასისათვის გამოკვლეულია რამდენიმე არალოკალური ამოცანა, მათ შორის ამოცანები ინტეგრალური შეზღუდვებითა და ბიწაძე-სა-

მარსკის ტიპის პირობებით. დადგენილია ამ ამოცანათა კორექტულობის საკმარისი პირობები, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც შესაბამის ერთგვაროვან ამოცანას წრფივად დამოუკიდებელ ამონახსნთა უსასრულო რაოდენობა გააჩნია. ამასთან ერთად, გამოვლენილია ამოცანათა კორექტულობაზე განტოლების უმცროსი წევრების ზემოქმედება [148].

პროექტი № 1.10.04 – პირდაპირი და შექცევული სტოქასტური დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენება ალბათურ-სტატისტიკურ მოდელირებაში

განხილულია პუასონის ფუნქციონალების სტოქასტური ინტეგრალის სახით წარმოდგენადობის საკითხები. მიღებულია ინტეგრალური წარმოდგენები პუასონის კომპენსირებული მარტინგალების პოლინომიალური ფუნქციონალებისათვის და ნაპოვნია მათი სტოქასტური წარმოებულის ჭრეტადი პროექციები ცხადი სახით [140].

მიღებულია შესაკრებთა ზუსტი ალბათური განაწილებები მთელი რიცხვი უსასრულოდ დაყოფად შემთხვევით სიდიდეთა ორ წარმოდგენაში [176].

პროექტი № 1.11.04 – კონფიგურაციული სივრცეების გეომეტრია და ტოპოლოგია

დამტკიცებულია, რომ იზოლირებული განსაკუთრებულობის დეფორმაცია განსაზღვრავს ამ განსაკუთრებულობის ლინკის ჰოლომორფულ დინამიკას [52].

დასრულებულია კარგ გრადუირებათა კლასიფიკაცია სასრულგანზომილებიანი მარტივი ლის ალგებრებისათვის [24].

პროექტი № 1.12.04 – პროექციული და სასრულ-სხვაობიანი მეთოდების მდგრადობა და კრებადობა სინგულარული ინტეგრალური განტოლებებისა და ელიფსური სასაზღვრო ამოცანებისათვის

აგებული და გამოკვლეულია ზოგიერთი კლასის არალოკალური და კლასიკური სასაზღვრო ამოცანის მათემატიკური სხვაობიანი სქემები. ჩატარებულია სათანადო რიცხვითი ექსპერიმენტები [83].

პროექტი № 1.13.04 – თანამგზავრ-ვიროსტატის ფარდობითი წონასწორობის და უკუმშვად სითხეთა დინების მდგრადობის არაწრფივი ამოცანები

შედგენილია თანამგზავრ-ვიროსტატის მოძრაობის განტოლებები სამი სხეულის შემთხვევაში, დადგენილია ფარდობითი წონასწორობებისა და სტაციონარული მოძრაობების მდგრადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. აგებულია ბიფურკაციული დიაგრამები [180].

პროექტი № 1.14.04 – “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” და ჟურნალ “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სარედაქციო სამუშაოები და ორიგინალ-მაკეტების მომზადება

2005 წელს გამოვიდა “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” 4 ნომერი. გამოვიდა ჟურნალის “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სამი ტომი: 34-ე, 35-ე და 36-ე.

### 1.3. საზღვარგარეთული გრანტებით შესრულებული სამუშაოები

#### INTAS Grant # 03-51-5007: Nonlinear Evolution Equations. Blow-up Phenomena. Stability and Instability

(შემსრულებლები: ი. კილურაძე (ხელმძღვანელი), ჯ. გვაზავა, ს. ხარიბეგაშვილი, ნ. ფარცვანი)

მაღალი რივის ცალმხრივ არაწრფივ დიფერენციალურ უტოლობათა სისტემებისათვის არაწრფივი სასაზღვრო პირობებით ნაპოვნია ამონახსნთა აპრიორული შეფასებები, რის საფუძველზეც დადგენილია გარკვეული აზრით ოპტიმალური პირობები იმისა, რომ სათანადოდ ამოხსნადი და ცალსახად ამოხსნადი იყოს: (I) პერიოდულის ტიპის სასაზღვრო ამოცანები მესამე და მეოთხე რივის წრფივი და არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის; (II) პერიოდულის ტიპის საწყის-სასაზღვრო ამოცანები მაღალი რივის არაწრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის ორი დამოუკიდებელი ცვლადით; გარდა ამისა, დადგენილია საკმარისი პირობები იმისა, რომ ორწერტილოვან არაწრფივ სასაზღვრო ამოცანებს მეორე რივის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის სინგულარობებით გააჩნდეს ზედა და ქვედა ამონახსნები.



კლეინ-გორდონის არაწრფივი განტოლებებისათვის ძლიერი არაწრფივობებით, რომლებიც დამოკიდებულია სივრცის განზომილებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში დამტკიცებულია კოშის მახასიათებელი ამოცანის გლობალური ამოხსნადობა სინათლის კონუსში, ზოგიერთ შემთხვევაში კი მარჯვენა მხარეებზე დამატებითი პირობების დადებით დამტკიცებულია გლობალური ამოხსნის არარსებობა. ბოლო შემთხვევებში დამტკიცებულია ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა და მოცემულია შეფასებები დროის ინტერვალებისა, რომლის შემდეგაც ამოხსნის ფეთქდება.

ნაპოვნია საკმარისი პირობები იმისათვის, რომ დარბუს ამოცანის არაწრფივი ვარიანტი მეორე რიგის არამკაცრი ჰიპერბოლური კვაზიწრფივი განტოლებებისათვის პარაბოლური გადაგვარებებით იყოს ლოკალურად და გლობალურად ამოხსნადი.

#### **Grant of FCT SFRH/BPD/20524/2004 (დ. კაპანაძე)**

ზოლში არაკომპლექსური ტალღური რიცხვის მქონე ბრტყელი ტალღების დიფრაქციის ამოცანებისთვის პირველი და მეორე გვარის სასაზღვრო პირობებით დამტკიცებულია ამოხსნის არსებობა და ერთადერთობა ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. დადგენილია ამოხსნის რეგულარობა და საწყის და სასაზღვრო მონაცემებზე უწყვეტად დამოკიდებულება [113].

#### **Grant of DFG, German-Georgian cooperation project No. 436 GEO 113/8/0-1: "Piezoelectricity in composites - investigation on piezoelectric stack actuators" (თ. ბუჩუკური, თ. ჭკადუა)**

ვარიაციული მეთოდებით გამოკვლეულია თერმოელექტროდრეკადობის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები იმ შემთხვევაში, როდესაც კონტაქტში მყოფი სხეულებიდან ერთ-ერთი არის ელექტროდრეკადი (პიეზოელექტრული) სხეული, ხოლო მეორე - მცირე ელექტრული წინააღობის მქონე დრეკადი სხეულია (მაგალითად ლითონი). განხილული ამოცანა მიყვანილია ვარიაციულ უტოლობამდე და დამტკიცებულია მისი ამოხსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები  $W_2^1$  სობოლევის სივრცეში. შედგენილია ამ ამოცანების სასრულ ელემენტთა მეთოდით მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი [106].

გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოიპოვეს შემდეგი გრანტები:

**Research Grant of the Government of Italy: "Modelli Matematici e Numerici per le Applicazioni" (რ. დუდუჩავა, თ. ბუჩუკური, დ. კაპანაძე)**

**CIMPA (Centre International de Mathématiques Pures et Appliquées) Grant for Summer School – Galatasaray University, Istanbul, Turkey, June 13-25, 2005 (ნ. ფარცვანია)**

**GRDF (Georgian Research and Development Foundation) Travel Grant # TGP-05 – Florida Institute of Technology, Melbourne, Florida, USA, July 29 - August 11, 2005 (ნ. ფარცვანია)**

**2 years Postdoc Fellowship of the "Scuola Normale Superiore" of Pisa, Italy (ა. მესხი)**

**Ministry of Education Grants of Spain (ნ. ინასარიძე, ე. ხმალაძე)**

**Fellowship of The Matsumae International Foundation, Japan, January 1-March 31, 2005 (On the ergodic Hilbert transform) (ლ. ეფრემიძე)**

**Fellowship of Japanese Society of Promotion of Science (On ergodic maximal functions) (ლ. ეფრემიძე)**

**INTAS Young Scientists Post Doctoral Fellowship No. 03-55-1592 (დ. კაპანაძე)**

**INTAS Young Scientists Post Doctoral Fellowship No. 03-55-1699 (ა. გაჩეჩილაძე)**

**INTAS Young Scientists Post Doctoral Fellowship No. 03-55-0684: "Non-abelian and mod q (co)homology of algebraic structures" (ე. ხმალაძე)**

**INTAS Grant No. 00-566: "Algebraic K-theory, groups and algebraic homotopy theory" (ნ. ინასარიძე, გ. დონაძე, ნ. ინასარიძე, თ. კანდელაკი, ა. პაჭკორია, ე. ხმალაძე)**

**INTAS Grant No. 03-51-3251: "Simplicial algebra, homology theories, K-theory and homotopy theory" (ნ. ინასარიძე, მ. ბაკურაძე, ნ. ინასარიძე, თ. კანდელაკი, ე. ხმალაძე)**

**INTAS Grant No. 04-77-7080: "Algebraic and deduction methods in non-classical logics" (ლ. ესაკია, მ. ჯიბლაძე, დ. პატარაია, დ. გაბელაია)**

**DFG-436 GEO 17/5/05 (მ თვინი ვრანტი გერმანიაში): დინამიკა AdS სივრცეზე (გ. ჯორჯაძე)**

**RFBR (გრანტი რუსეთიდან) თანამშრომლობა ინტეგრებად სისტემებში (გ. ჯორჯაძე)**

GRDF Grant No. GEM1-3330-TB-03: “K-theory, homotopical algebra and homology theories” (ს. ინასარიძე, მ. ბაკურაძე, ნ. ინასარიძე, თ. კანდელაკი)

GRDF Grant No. GEP1-3327-TB-03: “Quantization of the coset  $SL(2, \mathbb{R})$  WZNW theories” (გ. ჯორჯაძე, გ. ჭავჭავაძე)

GRDF Grant No. GEP2-3329-TB-03: “Gauge invariant currents in the light front dynamics” (ა. კვინინიძე, ბ. მაღრაძე)

GRDF Grant No. 3316: “Mass constraints from gravitational lensing” (გ. ლავრელაშვილი)

Grant of RTN Network HPRN-CT-2002-00287: “Algebraic K-theory, linear algebraic groups and related structures” (თ. ფირაშვილი)

Spain Grant BSFM2003-04686-C02: “Crossed modules and algebraic operads” (თ. ფირაშვილი)

2. 2005 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თაობირების შესახებ (იხ. დანართი 1)
3. 2005 წლის საგამომცემლო საქმიანობა (იხ. დანართი 2)
4. თანამშრომელთა მიერ 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა (მონოგრაფია, წიგნი, კრებული) სია (იხ. დანართი 3)
5. 2005 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები (იხ. დანართი 4)
6. 2005 წელს სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებები და მოხსენებათა თეზისები (იხ. დანართი 5)
7. საქრთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა (იხ. დანართი 6)

8. ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხები. ჩატარდა ასპირანტებისა და მაძიებლების ყოველწლიური ატესტაცია.

ინსტიტუტთან არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზირებულ საბჭოზე (სადისერტაციო საბჭო Ph.M.01.01 №1) დაცულ იქნა სამი საკანდიდატო დისერტაცია.

ინსტიტუტში მუშაობდა 10 სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო სემინარი.

საანგარიშო პერიოდში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. ინასარიძემ, ხოლო საკანდიდატო – ინსტიტუტის მაძიებლებმა დ. მჭედლიშვილმა და ც. ცანავამ.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის ბიბლიოთეკა შეივსო 528 ბეჭდვითი ერთეულით (475 ჟურნალი და 53 წიგნი). 2005 წლის 31 დეკემბრისათვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდში არის 95005 ბეჭდვითი ერთეული, აქედან 64173 ჟურნალი და 30832 წიგნია.

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის  
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ნ. ფარცვანია

2005 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

№	ღონისძიების დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა		ჩატარების დრო (თვე, რიცხვი)	შენიშვნა
		სულ	მათ შორის უცხო ქვეყნებიდან		
1.	არჩილ ხარაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია “ფუნქციური სივრცეები, ინტეგრალური ოპერატორები და მათი გამოყენება კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში”	42	12	31 აგვისტო – 5 სექტემბერი	ჩატარდა ISPM-ის (ფიზიკისა და მათემატიკის საერთაშორისო სკოლა) პროგრამით

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2005 წლის  
საგამომცემლო საქმიანობა

№	ჟურნალის დასახელება	რედაქტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1.	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 137 (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი
2.	roceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 138 (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი
3.	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 139 (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის  
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ნ. ფარცვანია

ა. რაწმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ  
2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

№	ნაშრომის დასახელება (მონოგრაფია, წიგნი, კრებული)	ავტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1.	“სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა ერთი კლასის შიახლოებითი ამოხსნა პროექციული და პროექციულ-იტერაციული მეთოდების საშუალებით” (ინგლისურ ენაზე)	ა. ჯიშკარიანი	“Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics”, vol. 34, გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის  
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

2005 წელს გამოქვეყნებული შრომების სია

(i) მონოგრაფიები

1. A. Dzhishkariani, Approximate solution of one class of singular integral equations by means of projective and projective-iterative methods. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **34** (2005), 1-76.

(ii) სამეცნიერო სტატიები

2. D. Arlettaz and H. Inassaridze, Finite  $K$ -theory spaces. *Math. Proc. Cambridge Philos. Soc.* **139** (2005), 261-286.

3. P. Babilua and M. Shashiashvili, The American put option in a one-dimensional diffusion model. *Bull. Georgian Acad. Sci.* **172** (2005), No. 2, 193-195.

4. R. Bantsuri and N. Shavlakadze, The bending problem of beam lying on the elastic basics (Russian). *Prikl. Mat. Mekh.* **69** (2005), No. 2, 296-302. English transl: *J. Appl. Math. Mech.* **69** (2005), No. 2.

5. H. J. Baues and T. Pirashvili, Spaces associated to quadratic endofunctors of the category of groups. *Extracta Math.* **20** (2005), 99-136.

6. G. Bezhanishvili and D. de Jongh, Intuitionistic logic. *Course Notes of European Summer School in Logic Language and Information, Edinburgh, 2005.*

7. G. Bezhanishvili, L. Esakia, and D. Gabelaia, Some results on modal axiomatization and definability for topological spaces. *Studia Logica* **81** (2005), No. 3, 325-355.

8. B. Blankleider and A. N. Kvinikhidze, Three-body problem at finite temperature and density. *Phys. Rev. C*, 2005, 72:054001.

9. B. Blankleider and A. N. Kvinikhidze, In-matter three-body problem. *In the Proceedings of the Australian Institute of Physics 16th Biennial Congress 2005: Physics for the Nation, Canberra, Australia, 31 January – 4 February 2005, e-Print Archive: nucl-th/0502054.*

10. B. Bojarski and G. Khimshiashvili, The geometry of Kato Grassmannians. *Central European Journal of Mathematics* **3** (2005), No. 4, 1-13.

11. F. Borceux, G. M. Kelly, and G. Janelidze, Internal object actions. *Commentationes Mathematicae Universitatis Carolinae* **46** (2005), No. 2, 235-255.

12. F. Borceux, G. M. Kelly, and G. Janelidze, On the representability of actions in a semi-abelian category. *Theory Appl. Categ.* **14** (2005), No. 11, 244-286.

13. J. M. Casas, M. Ladra, and T. Pirashvili, Triple cohomology of Lie-Rinehart algebras and the canonical class of associative algebras. *J. Algebra* **291** (2005), 144-163.

14. L. P. Castro, R. Duduchava, and F.-O. Speck, Finite interval convolution operators with transmission property. *Integral Equations Operator Theory* **52** (2005), 165-179.

15. G. Chavchanidze, Involutive orbits of non-noether symmetry groups. *J. Phys. A* **38** (2005), 6517-6524, math-ph/0504060.

16. G. Chavchanidze, Non-noether symmetries in Hamiltonian dynamical systems. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **36** (2005), 81-134; math-ph/0405003.

17. G. Chavchanidze, Role of non-noether symmetry in integrability of dispersiveless long wave system. In: *Mathematical Physics Proc. of 11th Regional Conference, World Scientific, 2005.*

18. H. Dorn and G. Jorjadze, Oscillator quantization of the massive scalar particle dynamics on ads space-time. *Phys. Lett. B* **625** (2005), 117-126; e-Print Archive: hep-th/0507031.

19. H. Dorn and G. Jorjadze, On particle dynamics in ads(n+1) space-time. *Fortschr. Phys.* **53** (2005), 486-493; e-Print Archive: hep-th/0502081.

20. R. Duduchava and S. Rjasanow, Mapping properties of the Boltzmann collision operator. *Integral Equations Operator Theory* **52** (2005), No. 1, 61-84.

21. R. Duduchava, R. Kirsch, and S. Rjasanow, On estimates of the Boltzmann collision operator with cut-off. *J. Math. Fluid Mech.* **7** (2005), 1-25.

22. O. Dzagnidze, Necessary and sufficient conditions for  $C^n$ -differentiability and the Hortog's main theorem. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **138** (2005), 103-105.

23. D. E. Edmunds, V. Kokilashvili, and A. Meskhi, On the boundedness and compactness of weighted Hardy operators in  $L^{p(x)}$ . *Georgian Math. J.* **12** (2005), No.1, 27-44.
24. A. Elashvili and V. Kac, Good gradings of simple Lie algebras. *Amer. Mat. Soc.* **213** (2005), 85-104.
25. A. Elashvili and G. Khimshiashvili, Isolated singularities and solvable Lie algebras. *Bull. Georgian Acad. Sci.* **171** (2005), No. 3, 416-419.
26. L. Ephremidze, On the uniqueness of two-sided ergodic maximal functions. *Georgian Math. J.* **12** (2005), No. 1, 45-52.
27. L. Ephremidze, E. Lagvilava, and I. Janashia, New computational algorithm of spectral functions. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **134** (2005), 137-142.
28. L. Ephremidze and R. Sato, A weighted ergodic maximal equality for nonsingular semiflows. *Colloq. Math.* **103** (2005), 207-213.
29. Z. F. Ezawa, M. Eliashvili, and G. Tsitsishvili, Ground-state structure in  $\nu = 2$  bilayer quantum Hall systems. *Phys. Rev. B* **71** (2005), 125318.
30. Z. F. Ezawa and G. Tsitsishvili, Microscopic theory of skyrmions in quantum Hall ferromagnets. *Phys. Rev. B* **72** (2005), 115306.
31. Z. F. Ezawa and G. Tsitsishvili, Topological solitons in the noncommutative plane and quantum Hall skyrmions. *Phys. Rev. D* **72** (2005), 085002.
32. D. Gabelaia, A. Kurucz, F. Wolter, and M. Zakharyashev, Products of “transitive” modal logics. *J. Symbolic Logic* **70** (2005), No. 3, 993-1021.
33. V. Georgiev and A. Meskhi, On weighted Strichartz estimates for inhomogeneous wave equation in odd dimensional spaces. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **139** (2005), 96-99.
34. R. Graef, R. Koplatadze, and G. Kvinikadze, Nonlinear functional differential equations with Property A and B. *J. Math. Anal. Appl.* **306** (2005), 136-160.
35. J. Gubeladze, The nilpotence conjecture in  $K$ -theory of toric varieties. *Invent. Math.* **160** (2005), 173-216.
36. J. Gubeladze and Z. Mushkudiani, Commutator automorphisms of formal power series rings. *Proc. Amer. Math. Soc.*, 2005 (appeared electronically).
37. R. Hakl and S. Mukhigulashvili, On one estimate for periodic functions. *Georgian Math. J.* **12** (2005), No. 1, 97-114.
38. R. Hakl and S. Mukhigulashvili, On a boundary value problem for  $n$ -th order linear functional differential systems. *Georgian Math. J.* **12** (2005), No. 2, 229-236.
39. H. Inassaridze, Equivariant homology and cohomology of groups. *Topology Appl.* **153** (2005), 66-89.
40. M. Jibladze and T. Pirashvili, Linear extensions and nilpotence of Malcev theories. *Beiträge Algebra Geom.* **46** (2005), 71-102.
41. T. Kadeishvili, On the bar construction of a bialgebra. *Homology, Homotopy Appl.* **7** (2005), No. 2, 109-122.
42. T. Kadeishvili and S. Saneblidze, A cubical model for a fibration. *J. Pure Appl. Algebra* **196** (2005), No. 2-3, 203-228.
43. D. Kapanadze, Elastic potentials at corners in Sobolev spaces with asymptotics. *Math. Methods Appl. Sci.* **28** (2005), No. 8, 961-973.
44. D. Kapanadze and B.-W. Schulze, Boundary-contact problems for domains with conical singularities. *J. Differential Equations* **217** (2005), No. 2, 456-500.
45. T. Kavtaradze, N. Lazrieva, and T. Toronjadze, The change-point problem for continuous martingales. *Proc. A. Razmadze Math. Institute* **137** (2005), 39-63.
46. M. Khabazi, The maximal operator on spaces of homogeneous type. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **138** (2005), 16-25.
47. S. Kharibegashvili, On some boundary value problems for a class of hyperbolic systems of second order in conic domains. *J. Inequal. Appl.*, 2005, No. 5, 547-567.
48. S. Kharibegashvili, On the existence or the absence of global solutions of the Cauchy characteristic problem for some nonlinear hyperbolic equations. *Boundary Value Problems*, 2005, No. 3.
